

ფაზი-TOPSIS-ზე დაფუძნებული ობიექტების განთავსების მოდელი საგანგებო
სიტუაციების შემთხვევაში

გია სირბილაძე

gia.sirbiladze@tsu.ge

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უნივერსიტეტის ქ. 13, 0186, თბილისი, საქართველო

აგებულია ობიექტების განთავსების ამოცანის ახალი ფაზი - მოდელი. განვითარებულია საგანგებო სიტუაციების ობიექტების განთავსების დაგეგმვის პარამეტრებზე ექსპერტის ცოდნის წარმოდგენისა და ფორმირების ფაზი - TOPSIS მიდგომა. შექმნილია ახალი მიზნობრივი ფუნქცია - ცენტრების შერჩევის რანჟირების ინდექსის მაქსიმიზაცია. ეს კი მეორე მიზნობრივ ფუნქციასთან - შერჩეული ცენტრების რაოდენობის მინიმიზაციასთან ერთად ქმნის მრავალკრიტერიუმულ ობიექტების განთავსების ამოცანას. აგებული მოდელი ილუსტრირებულია დასახლებული პუნქტის საგანგებო სიტუაციაში დახმარების ობიექტების განთავსების დაგეგმვის სიმულაციურ მაგალითზე. კონკრეტულად კი, საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში თუ როგორ დაიგეგმოს სახანძრო სადგურების განთავსება კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების მოთხოვნების გათვალისწინებით.